# სახალხო გაზეთი

№ 627 კვირა, 17 ივნისი, 1912 წ. № 627

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს".**

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ წაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

კვირას, 17 ამა ივნისს

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

გარდაცვალების წლის თავზე, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა **ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.** წირვის დასაწყისი დილ. 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (3.512.3)

---

**საქართველოს საისტორიო** და **საეთნოგრაფიო საზოგადოება** აცნობებს თავის წევრთ, რომ კვირას, ივნისის 17-ს, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საზოგადოების წევრის და ქველმოქმედის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

სულის მოსახსენებლად, დიდუბის ტაძარში. (1.519.1)

---

**ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ დღეს, 17 ივნისს, დიდუბის ეკლესიაში, საზოგადო მოღვაწის და ცნობილ ქველმოქმედისა და დამფუძნებელი წევრის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

სულის მოსახსენებლად წლის თავზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათ. (1.1339.1)

---

**რადგანაც** 17 ივნისს, 12 საათზე, დიდუბის ეკლესიაში, დანიშნულია „წ. კ. საზოგადოების" დამფუძნებელი წევრის დ. ზ. სარაჯიშვილის წირვა და პანაშვიდი, ამის გამო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრების გაგრძელება, 17 ივნისის ნაცვლად მოხდება 18 ივნისს, ორშაბათს, საღამოს 7 საათზე, ქართულს თეატრში. (1—1340—1)

---

**ამ დღეებში ქ. გორში გამოვა ყოველდღიური სალიტერატურო, სამეურნეო, სავაჭრო, სასოფლო გაზეთი**

**ქართლი**

გაზეთი ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით ეღირება წელიწადში 5 მან., უდამატებოდ 4 მ., თვიურად 11 შაური, **ცალკე ნომერი 3 კაპ.**

რედაქტორ-გამომცემელი **ია ეკალაძე-ცინცაძე.**

ფული და დასაბეჭდი წერილები უნდა გამოიგზავნოს **ი. ცინცაძის** სახელზე. (5.1333.4)

---

დაარსებულია 1904 წ.

**სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა**

**პატარა ცემი**

მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. **ვ. ლამბაშიძეს,** ქ. ტფილისს.

**მიიღება** დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭლექის ციებით დაავადმყოფებულნი.

**არ მიიღება** სიჭლექით დაავადმყოფებულნი. (25.1291.22)

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწ. ალაპები ფასი 1—50 კ.
ბატონიშვილი დავით. მასალები საქართ. ისტორიისთვის 1—
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე ქართვ. ტომის დასაწყისზე 15 „
საქართველოს ისტორია I უძველეს დროიდან მე-X ს. დასასრ. 1—
პროფ. პატკანოვი და ქართ. ისტორიის წყაროები . . 20 „
ქართველი ქალები . . . . 10 „
პონტის მეფე მიტრიდატ დიდი 10 „
ბროსსე. საქართ. ისტორ. ნაწ. I, 70 „
„ „ „ „ II, 70 „
ბარათაშვილი. საქართ. ისტ. I 30 „
„ „ „ რვ. II, 30 „
ე. კ. წმ. დავით III აღმაშენებელი მეფე ქართველთა 5 „
ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია . 2—
იმერეთის ისტორია . . . 30 „
თამარაშვილი მიხ. მღვ. ისტორია კათოლიკ. ქართ. შორის 2—
თაყაიშვილი ე. ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ ნაწ. ქართლის მოქცევისა 40 „
არხეოლოგ. მოგზ. და შენიშ. 1—
სამი ისტორიული ქრონიკა 1—
იმერეთის მეფე სოლომონ დიდი 10 „
იზაშვილი პ., ქართ. კათოლიკ. 10 „
ქართველ კათოლიკეთა შესახებ 10 „
იოსელიანი გ. ქართ. წმიდანები 40 „
იოსელიანი პლ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება 1—
ისარლ. ლ. ქართ. კათოლ. საქარ. 10 „
კალისტრატე მღვ. მონოს. ხოპის მონასტერი . . . . 10 „
კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტ. 20 „
საქართველო მე-XII საუკ. . 40 „
სიმონ მეფე . . . . . . 10 „
საქართველ. მოკლე ისტორია 40 „
როსტომ მეფე . . . . . 10 „
თამარ მეფე . . . . . . 15 „
ძველი ანჩისხატის ტაძარი . 30 „
იერარქია საქარ. ეკლესიისა: კათოლიკ. და მღვდ.-მთავარნი 1—

[illegible] Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.66)

---

შეიძლება დაკვეთა:

**ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ცირსალაძესთან.
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

---

ქუთაისი

**ქუთაისში რკინეულობის სავაჭრო სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა**

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.15) პატივისცემით ს. პ. ფეიქაროვი.

ქუთაისი

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ.
**დაჟითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირაძოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირაძოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12^1/_2$—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.
**დაჟითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.43)

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდ. (25—1178—56)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და აწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს.) Mathien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067 (100—1187—182).

---

**საფურთალოზე**

**მშვენიერ ადგილას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 317)

---

**საუკეთესო რძე და მაწონი ამხ. „ანკარა"-სი.**

წარმოება ქსანზეა მოწყობილი; ყოველ დღე ტფილისში იგზავნება ახალ-ახალი რძე. მსურველს სახლში მიერთმევა 10, 15, 20 და 25 კაპეიკიანი, დაბეჭდილი ქურქლით.

მსურველმა უნდა მიმართოს: 1) სამავოლნი ქუჩაზე, № 15, გიორგი გუმარიტაშვილს; 2) გონჩარნი ქუჩა, № 32, გიგო თოიძეს; ან 3) ტელეფონით № 872. (1.517.1)

---

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^1/_2$.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606"-** (წლ—1018—287).

---

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. -ქ.ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს $^1/_2$ ს.

**მონხე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ, პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა $11^1/_2$—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—$1^1/_2$ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. ვ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1234.18)

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 2—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშიჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—39)

---

დოქტორი მედიცინისა

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 182)

---

დოქტორი მედიცინისა

**ზ. ი. ქალანთაროვი.**

ზაფხულობით ღებს ავადმყოფებს **ჟელეზნოვოდსკში:** შინაგან და ნერვ. ავადმყოფ. (წამლ. ელექტრ.)

**ადრეს.:** კურსავოის ქ. აგარაკი კარპოვისა. (4.511.2)

---

**ექიმი ივ. გომართელი** მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.17)

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ძაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—1 [illegible])

---

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.126).

---

**ექიმი** ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში** 9—3 საათამდე.

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., № 1

---

**ექიმი** კბილისა ახალსთუმანში **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (0—1334—4)

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

---

## ტფილისი, 17 ივნისი

**ახალი მომენტი იტალია-ოსმალეთის ომში.** იტალია-ოსმალეთის ომში თავი წამოჰყო ისეთმა ახალმა მომენტმა, რომელიც დღეს მთელი ევროპის ყურადღებას იქცევს. საქმე შეეხება არხიპელაგის იმ კუნძულებს, რომელნიც იტალიამ დაიჭირა. იტალიამ უკვე დაიჭირა კუნძული როდოსი და სხვა პატარა კუნძულები. ამასთანავე ხმები დადის, რომ მას აზრადა აქვს დაიჭიროს ისეთი დიდი კუნძულები, როგორიც ლემნოსი, ხიოსი და მიტილენაა. ამ გარემოებამ ალაფრთოვანა კუნძულების ბერძენი მცხოვრებნი და განუმტკიცა ის აზრი, რომ ახლად შექმნილ პოლიტიკურ კონიუნკტურის წყალობით მოხერხდება ამ კუნძულთა თუ სრული განთავისუფლება არა, ავტონომიურად მოწყობა მაინც. კუნძულების შეერთების კავშირის კომიტეტი დეპეშებსა და ოფიციალურ ქაღალდებსა ჰგზავნის სხვა და სხვა სახელმწიფოებთან. თითქმის ყველას სთხოვენ დახმარებას განთავისუფლების საქმეში. ასეთისავე აღფრთოვანებულის მოწოდებით მიჰმართა კომიტეტმა რუსეთსა და თვით იტალიას. ერთის შეხედვით ფანტასტიურად გვეჩვენება პრეტენზიები კუნძულებისა. მაგრამ თუ ბერძნულ მხარეთა ძალთა განწყობილებას კარგად ჩაუკვირდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კუნძულების ბერძენ მცხოვრებთა იმედები არც თუ მარტო ქვიშაზეა აშენებული. როდესაც იტალიამ ტრიპოლისში ფეხი ვერ მოიმაგრა, ბრძოლის ასპარეზი ზღვაზე გადაიტანა. დაიჭირა რამდენიმე კუნძული და, როგორც ეტყობა, კიდეც განაგრძობს ამ გზით მოქმედებას. ამნა-

ირის საშუალებით იტალიას შეუძლიან ხმელთა შუა ზღვაზე დიდი გავლენა მოიპოვოს, რის ნებასაც არ მისცემენ არც ინგლისი და არც საფრანგეთი. ამნაირის მდგომარეობით სარგებლობენ კუნძულები და მოითხოვენ ავტონომიურ მმართველობას, თუმცა დაფარული აზრი ამ კუნძულებისა ის არის, რომ განამტკიცონ კავშირი საბერძნეთთან. ამ ნიადაგზე უკვე დაიწყო კუნძულთა მცხოვრებლების მოძრაობა თუ რამდენად ძალიან ყოფილა ეს აზრი გავრცელებული კუნძულებზე, სჩანს, სხვათა შორის, იქიდანაც, რომ ჰლევლავს კუნძული სამოსიც, რომელსაც ჯერ ისევ 1832 წლიდან ჰქონდა მინიჭებული ავტონომია. ეხლანდელი მოძრაობა გვიჩვენებს, რომ მაგრად ჰქონია გამჯდარი ფესვები ხალხის ფსიხოლოგიაში არა მარტო ავტონომიის აზრს, არამედ ბერძენთა კუნძულების გაერთიანების იდეასაც.

რანაირ შედეგს მიაღწევს ეს მოძრაობა,—ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. ჯერ-ჯერობით კი აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ახალს გარემოებას შეუძლიან ბევრნაირი ცვლილება შეიტანოს სახელმწიფოთა ცხოვრებაში.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის დავით ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად** დღეს იქნება გადახდილი დიდუბის ეკლესიაში. მწირველი იქნება გორის ეპისკოპოსი ანტონი.

✦ ქართულ გიმნაზიასთან არსებულ **უფასო სასადილოს** საზოგადოების კომიტეტი, მოაგონებს ამ საზოგადოების წევრებს, რომ დღეს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია **პანაშვიდი** განსვენებულ **დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის** სულის მოსახსენებლად, დიდუბეში, რომლის ხსოვნისათვისაც განსვენებულის ქვრივმა ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ ამ კომიტეტს შესწირა 500 მანათი.

✦ **აკაკი ფაღავას** განუზრახავს ლექციების წაკითხვა დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში თამარის გარდაცვალებიდან 700 წლის შესრულების გამო. ლექციის სათაური ასეთია: „თამარ მეფე და „ვეფხის ტყაოსანი“. ა. ფაღავას სურს განიხილოს შოთას პოემა, როგორც თამარ მეფის ეპოქის ქართული კულტურის გამომსახველი ნაწარმოები. უმთავრესი ყურადღება ლექტორს აქვს მიპყრობილი კერძოდ თამარის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობისათვის და საერთოდ კი საქართველოს ოქროს ხანისათვის. ამ მიზნით იგი განიხილავს X—XII საუკუნის ისტორიას, როგორც პოლიტიკურს, აგრეთვე კულტურულს. ამას გარდა „ვეფხის ტყაოსანს“ დაუპირისპირებს მაშინდელ აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურას.

✦ **ანჩისხატის ტაძარი.** გუშინ ტფილისის მეოთხე რაიონის ბლაღოჩინმა დეკანოზმა ნესტორ მაჭარაშვილმა, თანახმად საქართველოს ეგზარხოსის მოადგილის ეპისკოპოს პიმენის განკარგულებისა, საგანგებო კომისიის თანადასწრებით ანჩისხატის ტაძარი ახალს წინამძღვარს დეკანოზს ნ. თალაკვაძეს ჩააბარა. ტაძარში იმდენი ძვირფასი სამკაული აღმოჩნდა, რომ კომისია, აგრეთვე სხვა დამსწრენიც განცვიფრებაში მოვიდნენ.

✦ **სავაჭრო ბანკის** წესდება უკვე შეიმუშავეს და დასამტკიცებლად ნამესტნიკის თანაშემწეს გენერალ შატილოვს წარუდგინეს.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიური კრების გაგრძელება** ნაცვლად დღევანდლისა, მოხდება ხვალ, ორშაბათს, 18 ივნისს, ქართულ თეატრში, საღამოს 7 საათზე. კრების გადადება გამოიწვია განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის პანაშვიდმა, რომელიც დანიშნულია განსვენებულის საფლავზე, დიდუბეში, დღეს, დილის 12 საათზე.

✦ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა შორის საკითხი აღიძრა, ქალაქის გამგეობასთან არსებულ **სასამართლოს სტოლის** რეორგანიზაციის შესახებ.

✦ ივლისის პირველ რიცხვებში ტფილისს და კავკასიის სხვა ქალაქებს სამეცნიერო აზრით ესტუმრება ბუქარესტის ლიცეის პროფესორი დოქტორი ავგუსტ ფეხტერი.

✦ მთავრობამ ნება დართო, ხელის-მოწერა გამართონ ექვსსის თუმნის შესაგროვებლად, რომელიც საჭიროა ახალციხის მაზრის სოფელ უდეს კათოლიკეთა ეკლესიის შენობის დასამთავრებლად.

✦ **ექსკურსიები.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვლენ ვლადიმირისა და იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტები და განჯის 6-კლასიან მიხეილის სასწავლებლის მოსწავლენი.

✦ **დაჭრა.** 15 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ნიკოლოზ სოხაძის დუქანში (ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 100). ჩხუბი მოუვიდათ გორის მაზრის სოფელ ქვათეთრის გლეხს ზაქარია გრიგოლის ძე გაბარაშვილსა და დუშეთის მაზრის სოფ. ძალისის გლეხს ივანე ზაქარიას ძე მამიაშვილსა. ჩხუბის დროს გაბარაშვილმა თავსა და ხელში დანით მძიმედ დასჭრა მამიაშვილი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. გაბარაშვილი შეიპყრეს.

✦ **იუმორ. ჟურნალი „მათრახი“.** დღეს გამოვიდა იუმორისტული ჟურნალი „მათრახი“, რომელშიაც მოთავსებულია ირეთელის მოთხრობა „შერყეული ჰაერი“ (ამ დღეებში ტფილისში მომხდარ დუელის შესახებ), ლექსები რუხაძისა, ზომლეთელისა და სხვა.

✦ „განათლების“ რედაქციას განუზრახავს ცალკე წიგნად გამოსცეს ყველა წერილები თუ სიტყვები იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო თქმული და დაბეჭდილი. ამისათვის ყველამ შესაფერი მასალა უნდა მოაწოდოს „განათლების“ რედაქციას. წიგნი გამოვა დეკემბერში.

✦ **რედაქციამ მიიღო** სამეურნეო ჟურნალ **„მოსავლის“** მეათე ნომერი. მოთავსებულია წერილები: ვ. რცხილაძისა, იაკობ გოგებაშვილი, ვ. ახოშკილისა—ვაზის ობი და ნაცარი. ა. დარეჯანაშვილისა დარიგება ხეხილების გამრავლებაზე. ა. კახელაძისა—ამერიკულ ვაზის კულტურის მცოდნე პირთა თათბირი და სხვანი.

✦ **ჟურნალი „განათლება“.** გამოვიდა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლების“ ივნისის ნომერი (VI).

შინაარსი: ნიმუშები ჩვენი დაავადმყოფებისა **იპ. ვართაგავასი.** ჰიგიენა, **ილ. ალხაზიშვილისა.** მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან **ექ. ევგ. ლოსაბერიძისა.** — აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა **დ. უზნაძისა.** — თავად ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და მისი პოეზია **ილ. ფერაძისა.** — ფედია პროტასოვი და ოჯახური აღზრდის მნიშვნელობა **მ. კაკაბაძისა.** — მონტესორის სისტემის საბავშვო ბაღი იტალიაში **ნ. ბ—ძისა.** — ატმები, **ბიკენტი თაბუკაშვილისა.** — † იაკობ გოგებაშვილი **ლ. ბოცვაძისა,**— მოწაფის მოთქმა, მოწ. **ზაქრო ვაშაძისა,** საგოდებელი **დ. თურდოსპირელისა.**— გლოვის ხმა **გ. ქუჩიშვილისა,**—იაკობ გოგებაშვილი! ანდერძი.—იაკობ გოგებაშვილი (სიტყვა წარმოთქმული ვერის დაღმართზე) **გ. ნიორაძისა.**—გამოსათხოვარი სიტყვა **ლ. ბოცვაძისა.**— რედაქციისაგან.—განცხადებანი.

✦ 15 ივნისს ტფილისში გარდაიცვალნენ იოსებ სერგეს ძე დემუროვი, 69 წლისა და არტემ იაგორას ძე ბაკლაიკინი 49 წლისა. მათი გვამები მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 15 ივნისს ტფილისში შეიპყრეს გორის მაზრია სოფელ ავლევის მცხოვრები იასონ სოლომონის ძე ჯახველაძე რომელიც გორში იყო გადასახლებული პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და ტფილისში ნებადაურთველად ჩამოვიდა.

✦ 15 ივნისს გოგოლის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, დაახლოვებით ერთის თვისა, მდედრობითის სქესისა. ბავშვი ოლგას საზებოო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ კვირას, 17 ივნისს, დილის 11 საათზე დანიშნულია **ტფილისის სამარხი კასის საზოგადო კრება.** ტფილისის წმ. მამა დავითის ეკლესიის სამრევლო სკოლის დარბაზში (მთაწმინდის ქუჩა სახლი № 18). კრებამ უნდა განიხილოს 1911 წლის ანგარიში, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1912 წლისათვის და სხვა. რადგანაც ეს საზოგადო კრება მეორედ არის დანიშნული რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კანონიერად ჩაითვალება.

✦ **ქალაქის საბჭოს** უკანასკნელი კრება ხვალ, 18 ივნისს მოხდება. განხილულ იქმნება 12 საქმე. სხვათა შორის განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: 1) ტფ. პოლიციის შეიარაღება, 2) პოლიცმეისტრის კანცელარიის გაფართოვება, 3) სარევიზიო კომისიის ინსტრუქცია და 4) განსვენებულ ა. ს. მატინოვის მიერ ნაანდერძევ თანხიდან 90,000 მან. გადიდება და ამ ფულით შლიტტელისეულს მიწაზე მატინოვის სახელობის სასწავლებლის შენობის აგება. იმ საკითხების განხილვა, რომელსაც საბჭო ამ დღეს ვერ მოასწრებს, შემოდგომისთვის გადაიდება.

### სასწავლებლებში

✦ **ტფილისის საქალებო მესამე გიმნაზიის** მერვე კლასის სამათემატიკო განყოფილება ოთხ ქართველს ქალს გაუთავებია წელსა: ა. ზაალიშვილს, მ. ყანჩაველს, ა. ამირაჯიბს და ოა. წერეთელსა.

✦ **ტფ. მერვე სავაჟო გიმნაზია** წელს შემდეგს ქართველთ გაუთავებიათ: კონსტანტინე კახეთელიძეს, ზაქარია მაყაშვილს, გიორგი სესიაშვილს, სერგეი შანშიაშვილს, ირაკლი იაშვილს, გიორგი ავალიანს და ილია თარგამაძეს.

### მცხეთა.

✦ **კიდევ ყაჩაღები.** 14 ივნისს გათენებისას, სოფელ ძალისში ყაჩაღებმა მოჰკლეს შეძლებული გლეხი მიტრო რუპაშვილი. გუშინდელ ნომერში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი, ძალისში ერთი ყაჩაღი მოუკლავთო.

### სოფლად

✦ **სამტრედია.** დღეს, 17 ივნისს, იმართება **ქართული სალიტერატურო საღამო,** მონაწილეობას იღებენ: აკაკი, დ. კლდიაშვილი, ლორთქიფანიძე, დ. მესხი, აკაკი პაპავა (კრიტიკული ესკიზი) ჯ. ჯორჯიკია, გუცა, შ. დადიანი, მალაქიაშვილი და სხვა.

### შეცდომის გასწორება

**გ. ლასხიშვილის** ფელეტონი „წარსულიდან“ მე-V ფელეტონში (№ 619): მე-2 სვეტში დაბეჭდილია „მაშინდელი სარევოლიუციო მოძრაობის იდეოლოგიაც მათი ბატონობდა კიდევ თუმცა უკანასკნელ წუთებს განიცდიდა“ უნდა იყოს: „მაშინდელი სარევოლიუციო მოძრაობა ნაროდოვოლცებისა იყო კიდევ, თუმცა უკანასკნელ წუთებს განიცდიდა; მოძრაობის იდეოლოგიაც, რასაკვირველია, მათი ბატონობდა“. მე-5 სვეტში დაბეჭდილია „ცუზამენბუნით“ უნდა იყოს „ცუზამენბრუხით“.

მე-10 სვეტში დაბეჭდილია: „მწერლის **ნადსონის** მეუღლე“... უნდა იყოს „მწერლის **ვატსონის** მეუღლე“ და სხვა.

## იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო

**სოფ. ავლევი** (გორის მაზრა). გორის მაზრის მეხუთე ოლქის საბლაღოჩინოს სამღვდელოებამ 11 ივნისს საბლაღოჩინო კრებაზე ფეხზე ადგომით პატივსცა განსვენებულ იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის ხსოვნას. საერთო სურვილისამებრ სამღვდელოებამ ს. ავლევის ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადა მისი სულის მოსახსენებლად.

**ზემო მთიულეთი.** 10 ივნისს ჩირიკის მღვთის მშობლის ეკლესიაში მღვდელმა მოსე კავკასიძემ გადაიხადა წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი პედაგოგის და სამშობლოს მოყვარულის იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.

### სამძიმრის დეპეშები

**ზლინკი.** პორუჩიკ ვიქტორ ინცკირველისაგან.

**სტამბოლი.** სტამბოლის ქართველთა მონდობილობით გოზალაშვილისაგან.

## ქ. შ. წ. კ. გ. ს. წლიური კრება

### 15 ივნისის სხდომა.

კრება გაიხსნა საღ. 8 საათზე. წინანდელი სხდომის ოქმის წაკითხვის შემდეგ, გამგეობის წევრმა **შ. დედაბრიშვილმა** კრებას მოახსენა იმ ვალის შესახებ, რომელიც უიმედოდ უნდა ჩაითვალოს და ამიტომ ბალანსიდანაც ამოიშალოს. მთელი ჯამი ვალისა, რომელიც საზოგადოების მართებია სხვა და სხვა პირსა და დაწესებულებას, უდრის 16.990 მ. 52 კ. აქედან დღემდის განაღდებულა 4469 მ. 16 კ. საზოგადოების განყოფილებებზე ითვლება 1678 მ. გამგეობა დაკარგულად სთვლის 2603 მ. 24 კ. და სთხოვს კრებას ამოშალოს ეს ჯამი ბალანსიდან.

კრებამ მიიღო გამგეობის ეს წინადადება.

შემდეგ გამგეობის წევრმა **დ. კარიჭაშვილმა** კრებას გააცნო მოსაზრებანი მუზეუმის დაარსების შესახებ. ამ საკითხის შესახებ წ. კ. საზოგადოების გამგეობას მოლაპარაკება ჰქონია ქართ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგ. საბჭოსთან, რომლისთვისაც მიუმართავს შეერთების წინადადებით შემდეგი პირობით: არსებული ორი მუზეუმი — წ. კ. საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიოსი უნდა შეერთდეს ორგანიულად გამგებლობის მხრით. მისი მართვა უნდა ჩაბარდეს ახალ ორგანოს, 6 კაცისგან შემდგარს, რომელთაგან 3 წ. კ. საზოგადოება ირჩევს, 3 კი საისტ.-საეთნ. საზოგადოება.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება არ დასთანხმებია ასეთ პირობებს და მოუთხოვია, რომ წ. კ. მუზეუმი მთელი მისი ფონდითა და არსებული სუბსიდიით გადასცემოდა საისტ.-საეთნ. საზოგადოებას შესანახად და მოსავლელად დროებით. ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

**პ. გელეიშვილი** მომხრეა შეერთებისა იმ სახით, როგორც საისტ.-საეთნ. საზოგადოებას სურს, მაგრამ თან შიშსაც [illegible] თუ საისტ. საეთნ. საზ. ვერ შესძლოს მისი დაცვა [illegible] წაგვივიდეს ეს დიდი განძიო.

**კ. აბაშიძე:** ქართველები რაღაც უცნაური, ინდივიდუალისტური განწყობილების ხალხი ვართ—თუ ვისიმე პარადობა მოგვწონს, მაშინ ჩვენს თვალში ის საქმეც კარგი და წესიერად წარმოებულია, რომელსაც სათავეში ჩვენგან მოწონებული პირი უდგას. აი ამ უცნაური თვალსაზრისიდან წამოსდგება ის შეხედულებაც, რომლის ძალითაც ამტკიცებენ, რომ წ. კ. საზოგადოების მუზეუმი საისტო.-საეთნოგრ. საზოგადოებას უნდა გადაეცესო. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვძლებია იმ ძვირფასი განძის მოვლა-შენახვა, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში გულმოდგინებით უგროვებია ხსენებულ საზოგადოებას და ახალა ერთბაშად გვინდა ხელი მოვაწეროთ საკუთარ კოტრობას. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა დიდი თანაგრძნობა და მნიშვნელობა აქვს დღეს მოპოებული წ. კ. საზოგადოებას, ამიტომ მისი 40 წლ. ნაშრომის ერთ დღეს მოსპობა ყოვლად შეუძლებელია. ან კი როგორ შეიძლება გადაცემაზე ლაპარაკი, როდესაც მუზეუმის ადგილი და შენობა წ. კ. საზოგადოებისაა, აგრეთვე სუბსიდიაც—თუ მაინცა და მაინც სურთ მაო გადმოგვცენ თვისი მუზეუმი. შეიძლება დაეთანხმოს კიდევ ადამიანი იმ კომპრომისს, რომელსაც დასდგომია წ. კ. საზ. გამგეობა, მაგრამ საისტ.-საეთნ. საზოგადოების მიერ წამოყენებული პირობები პირდაპირ შეუწყნარებელია.

**შ. მესხიშვილი** უპასუხებს კიტო აბაშიძეს და ამბობს, რომ დროა თავი დავანებოთ დილეტანტობას საზოგადო საქმეში და წ. კ. საზოგადოებასთან მოგროვილი სიძველენი ისეთ საზოგადოებას გადავცეთ, რომელმაც იცის მისი ფასი და მნიშვნელობა, რადგან სპეციალურად ამისთვისაა დაარსებული და უკეთაც მოუვლის, მით უმეტეს, რომ წ. კ. საზოგადოებას ისედაც ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი, რომელიც მის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენსო.

**ირ. რამიშვილი, შ. ამირაჯიბი** და **დ. ვაჩნაძე** მომხრე არიან გადაცემისა, რადგან საისტ.-საეთნ. საზოგადოება უკეთ მოუვლის მუზეუმსო.

**პ. გელეიშვილი:** მუზეუმის მოვლა-შენახვა წ.-კ. საზოგადოების საქმე არაა. მას თავისი პირდაპირი საქმეებიც ბევრი აქვს, მაგრამ დღემდი კი არაფერი გაუკეთებია. იგი ასცდა თავის დანიშნულებას. მისი პირდაპირი მიზანი წერა-კითხვის გავრცელებაა, მაგრამ ერთი მითხარით—ვის ასწავლა მან წერა-კითხვა? რაღაც

# წარსულიდან

## ჩემი მოგონებანი.

2 *)

1888—1895 წ.წ.

(გაგრძელება *)

II

ქუთაისის ციხეში, პირველ ხანებში, სასტიკ რეჟიმში ვიმყოფებოდი. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემამდე იქ ვგონებ, პოლიტიკური პატიმარი არა ყოფილა გარდა მიშო ყიფიანისა, რომელიც, როგორც გამიგონია, ქუთაისში იყო დაპატიმრებული და ცოტა ხანს იქაურ ციხეში იჯდა, შემდეგ ტფილისში იქმნა გადაყვანილიო... რასაკვირველია ცალკე კამერაში („სეკრეტ“-ში) ჩამსვეს. ციხის უფროსი იმდენად შეშინებულიყო არაჩვეულებრივის ტუსაღით, რომ ჩემ კარებთან განსაკუთრებული დარაჯობა დააწესა: ორი თოფიანი სალდათი გამიჩერეს, რომელთაც ნაბძანები ჰქონდა ჩემ ფანჯარასთან არავინ მოეშვათ გარდა ზედამხედველისა. არც სეირნობა შეიძლებოდა, არც წიგნები მქონია, არც საწერი იარაღი. ორი კვირის განმავლობაში ასე ვიყავ მოწყვეტილი ციხესაც კი. ორი კვირის შემდეგ ციხეში მოვიდა ჟანდარმის აფიცერი ფედოროვი, რომელსაც ძალიან გაუკვირდა, ჩემს კარებთან საგანგებო სადარაჯო პოსტი რომ დაინახა. „ეს სრულებით მეტია, ჩემის აზრითაო“, უთხრა უფროსს და მაშინვე მოაშორეს სალდათები, დღე და ღამ თავზე რომ მადგნენ და თვალს არ მაშორებდნენ. საზოგადოდ, ფედოროვის ძალიან მადლიერი ვიყავ: ჟანდარმის პირობაზე არ იყო ურიგო ადამიანი, დრო-გამოშვებით მოდიოდა ციხეში და ყოველთვის რამე შეღავათს მაძლევდა; თან და თან წიგნებიც მომცეს, წერის ნებაც, სეირნობაც (მარტო), ასე რომ ერთი თვის შემდეგ რეჟიმი სულ შემეცვალა...

ქუთაისის საგუბერნიო ციხე ეხლა არ ვიცი რას წარმოადგენს, მაშინ კი საძაგლობა რამ იყო. საშინელი უსუფთაობა იყო, სივიწროვე, ზამთარში აუტანელი სიცივე, ზაფხულში გადამეტებული სიცხე. თითო კამერაში („სეკრეტში“), რომელშიაც ორი კაცის ადგილი თუ იყო, 5—8 კაცი იყო მოთავსებული (საზოგადო კამერა არ მინახავს), არც „ნარები“, არც კრაოტები იყო და ტუსაღები იატაკზე ეყარნენ. სიბინძურე ჰსუფევდა აუწერელი და შმორის სუნი დღე და ღამ იდგა კარიდორებშიაც კამერაშიაც. ბაღლინჯოების ამბავს ნუღარ მკითხავთ!.. რაც შეეხება მაშინდელ იქაურ წესრიგს, პატიმრები მაინც და მაინც შევიწროებაში არ ყოფილან. კამერები თითქმის სულ გაღებული ჰქონდათ, გადიოდნენ კორიდორში, ერთმანეთთან კამერებში, დღეში ორჯელ ეზოში გაჰყავდათ სასეირნოდ. რეჟიმი იცვლებოდა მხოლოდ საგანგებო რამ შემთხვევის შემდეგ, ისიც დროებით. ერთი ასეთი „საგანგებო შემთხვევა“ ჩემსობასაც მოხდა. ერთ საღამოს, „პროვერკის“ დროს, დარაჯთა შორის ხმაურობა ატყდა, აქეთ-იქით სირბილი, აღიაქოთი. უცბად კამერებში პატიმრებმა ასტეხეს ყვირილი: „მუხუზლამ უქუსლა, მუხუზლამ უქუსლა!“ თურმე გაქცეულიყო ტუსაღი, გვარად მუხუზლა, რასაც მოჰყვა დროებით სასტიკობის გამეფება.

ჩემი კარიდორის ტუსაღები მალე გავიცანი: კარის „ფორტოჩკასთან“ მოვიდოდნენ ხოლმე და მებაასებოდნენ. „საინტერესო“ ტუსაღი არავინ იყო, რთული რამ პსიხოლოგიური მოტივები მათ დანაშაულობაში არა ყოფილა. როგორც ჩვეულება აქვთ ამგვარ ტუსაღთ, თავისთავს დამნაშავედ თითქმის არავინ აღიარებდა. ერთნი გაუბედურებების მიზეზად მეზობელთა „მტრობასა და შურს“ სახავდნენ, მეორენი—„უბედურ შემთხვევას“, მესამენი და უმრავლესნი სულ უარს ამბობდნენ—არავითარი ავკაცობა ჩაგვიდენიაო. ერთმა-ორმა გულახდილად მიამბო თავისი თავგადასავალი. დამამახსოვრდა ერთი მეტად მახინჯი, ნახშირივით შავი, დაბალი ტანის ოაჭველი გლეხი.

— ეშმაკმა შემაცდინა, ბატონო!—მითხრა მან, როცა ჩემთან მოვიდა იმის გასაგებად, თუ რა სასჯელი მოელოდა... ორმოცი წლის კაცი ვარ აგერ, მუშაობა შემიძლია, არც ისე ღარიბი ვიყავ, ცოლის შენახვა არ შემძლებოდა და ცოლი კი ვერ შევირთე, არავინ გამომყვა, არც ჩვენი სოფლისა, არც შორეული... მთელი სოფელი დამცინოდა... გოგონებიც ამიტყდნენ—აი შე ნაგაზო, აი შე ჯუჯაო, ქალს ვინ მოგცემსო!.. ერთი გოგოს ჯავრი ჩამყვა, მეზობლის გოგოსი, სულ მუხლებს ვუკოცნიდი მის დედ-მამასა, მაგრამ გოგო უარზე იყო-თავს მოვიკლავ და ემაგ ნაგაზს არ წავყვებიო... გულში დარდი ჩამიწვა და გადავწყვიტე, გოგო ხელში ჩამეგდო... ერთხელ, საღამო ხანზე, შორს სოფლიდან, წყაროზე ჩავიგდე ხელში, მარტოკა იყო, ისევ გამაჯავრა და დამცინა. ვეღარ მოვითმინე, შენი ჭირიმე, სისხლი აქ მომაწვა, ვეცი და ნამუსი ავხადე... ვიფიქრე, ნამუს ახდილ გოგოს ჩემს, მეტი ვეღარავინ წაიყვანს მეთქი ცოლიც მეყოლება და მეზობლების დაცინვასაც გადავრჩები მეთქი... მარა იმ უნამუსოებმა არ დამაცალეს, მომივარდენ სახლში მამა მისი და ქალები კეტებითა და ნაჯახებით. რა მექნა, ხანჯლით დავუხვდი და მუცელში ვკარ მეზობელსა... მეც დამკრეს თავში... იმ დამესვე მამა მისი მოკვდა, მე კი შემკრეს და აი ამ უბედურებაში ჩავვარდი.

მახსოვს კიდევ ერთი ტუსაღი, სამურზაყანელი თუ მეგრელი თავადი ფარნაგოშია, წამოსადეგი ვაჟკაცი, რომელსაც რამოდენიმე მკვლელობა ბრალდებოდა და უკვე კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამას პოლიტიკაზე უყვარდა ლაპარაკი და ხშირად მკითხავდა ხოლმე: მიბრძანეთ, გიორგი, სოციალისტები რომ გაიმარჯვებენ, ჩვენ არაფერი გვეშველება მაშინ?—მახლობელ კარიდორში იჯდა სახელგანთქმული გიორგი მიქელაძე, ეს იმ დროინდელი ზელიმ-ხანი დასავლეთ საქართველოისა. გიორგი მიქელაძე ახალგაზრდობაში „კანვოი“-ში იყო პეტერბურგს. ლამაზი, წარმოსადეგი ვაჟკაცი, უდარდელად ცხოვრობდა სატახტო ქალაქში; ქეიფობდა, არშიყობდა და რასაკვირველია, ფუფუნებაში თან და თან ირყვნებოდა. როცა „კანვოი“ გააუქმეს, გიორგი სამშობლოში დაბრუნდა. რა-კი პეტერბურგის ცხოვრების გასაგრძობად ფული იყო საჭირო, ადვილად მიეკედლა ვიღაც ავაზაკთა, რომელთაც ურიები გაძარცვეს. გიორგი „ყაჩაღად გავარდა“ და მალე მრისხანე სახელი მოიხვეჭა. მთელი სოფლები, ჯარი, პოლიცია ფეხზე დააყენეს მის დასაჭერად, მაგრამ ამაოდ: სასწაულებრივ უქრებოდა ხელიდან მდევნელთა. რამდენჯერმე ციხიდანაც გაიქცა. ქუთაისის ციხეში მაშინ, ჩემს იქ ყოფნის დროს, უკვე მოხუცებული და დავრდომილი იყო. ავადმყოფობის გამო კატორღაშიც არ გზავნიდნენ, რომელიც კარგი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა კიდეც. ყველა ტუსაღი დიდ პატივს სცემდა ამ ოდესღაც სალეგენდო ვაჟკაცს და აღტაცებით მიამბობდა იმის ამბებს...

თითქმის ექვს თვეს ვიჯექ ქუთაისის ციხეში. ზამთარში, როცა პატარა დღეები იყო, დრო მალე მირბოდა, ვკითხულობდი, ფრანგულს ვსწავლობდი, ტუსაღებს თხოვნებს უწერდი და სხვა. აპრილიდან დაწყებული-კი ძალიან გამიჭირდა კარჩაკეტილში ჯდომა. ჩემ ფანჯრიდან ვხედავდი, ბუნება აყვავებულიყო, მზე დიდებულად ანათებდა, ხალხიც ამაღურებულიყო. კვირა დღეებით ვხედავდი, რომ დიდ-ძალი ხალხი, სადღესასწაულოდ ფერად-ფერადად გამოწყობილი, მხიარულად მიეშურებოდა ახლად ამწვანებულ მინდვრებში სასეირნოდ. გული მწუხარებით მიცემდა, მინდოდა მეც ბუნების დღესასწაულს დავწაფებოდი, მწყუროდა თავისუფლება. ამის მაგიერ მესმოდა ბორკილების ჩხარუნი, დარაჯთა გინება და ციხის სხვა ხმები, რაღაც სასოწარკვეთილებისა და ტანჯვის ხმები...

მაისის ბოლოში მესტუმრა ჟანდარმის აფიცერი ფედოროვი და მითხრა: თქვენი საქმის გამოძიება (რომელიც ადესაში სწარმოებდა) გათავდაო და მომავალ კვირას თქვენი დის ნახვის ნებას მოგცემთო... ვინც ციხეში არ მჯდარა, ვერ გაიგებს, რა დიდი სიხარულია დამწყვდეულისათვის მახლობლის ნახვა, მეტადრე სამი-ოთხი თვის შემდეგ! ის ერთი კვირა გიჟივით ვიყავ, არ მძინებია, არ ვჭამდი და არ ვსვამდი, ვშფოთავდი და ვღელავდი. დროც ისე ნელა მიდიოდა, რომ ერთი კვირა წელიწადად მეჩვენა. ბოლოს, მოვიდა კვირაც და ჩემი ძვირფასი და, ადესაში რომ დავტოვე, ვინახულე. იმან სასიხარულო ამბავი მომიტანა: დავით ლორთქიფანიძე (დავით არჩილის ძე, ნაფიცი ვექილი, შემდეგში ქუთაისის ქალაქის მოურავი) ცდილობს თავდებით გაგანთავისუფლოსო; აქაური ჟანდარმები წინააღმდეგნი არ არიან და ეხლა ადესაში შეეკითხნენო...

მაცადინეობამ მაინც ერთ თვეზე მეტს გასტანა და, როგორც იქმნა, ივლისში გამოვედი ციხიდან „საქმის დასრულებამდე“, როგორც ამიხსნა პოლკ. ნესტეროვმა.

— როგორ უნდა გათავდეს ჩემი საქმე? შევეკითხე პოლკოვნიკს.

— არაფერი ვიცი... მგონია, სულ უბრალოდ გადარჩებით ამ ხანად...

ჟანდარმის ამ პასუხმა დიდ შეცდომაში შემიყვანა: სრულიად დავმშვიდდი და მალე კიდევაც დავივიწყე, რომ საქმე გათავებული არ იყო. ხოლო როცა ჩემი ადესელი ამხანაგები ვნახე, საზაფხულოდ ჩამოსულენი, არხეინად გავერთე და ყველაფერი დამავიწყდა — ეტაპიც, ციხეც, ისიც, რომ საპოლიტიკო დანაშაულობისათვის სენატის განსაკუთრებულ კომისიას უნდა გავესამართლებინე.

(შემდეგი იქნება).

**გ. ლასხიშვილი.**

*) იხ. „სახ. გაზ.“. № 626.

ათიოდე სკოლა გახსნა და იგინიც მისი აღარაა დღეს. კავკავის სკოლა თქვენი არ გახლავსთ, ბატონებო, ბათუმისა აგრეთვე...

თავმჯდომარე აწყვეტინებს და განმარტავს, რომ მისგან ნათქვამი სიტყვები სიმართლეს მოკლებულია, რადგან კავკავის სკოლაც წ. კ. საზოგადოებას ეკუთვნის და ბათუმისაც.

**პ. გელეიშვილი:** (განაგრძობს) ჩვენ ვიცით, რომ იმ ადგილს, სადაც ახლა ბ. მდივანი ბძანდება, ილია ჭავჭავაძეც იჯდა, მაგრამ 30 წლის განმავლობაში მაინც არა გაკეთებულა რა...

(ხმაურობა და მოძრაობაა დარბაზში).

**პ. გელეიშვილი** (განაგრძობს): თქვენ ისიც კი ვერ მოგიხერხებიათ, რომ ნუსხა შეგედგინათ იმ ქონებისა, რომელიც თქვენ გაქვთ და დაჟინებით უზერავთ 30 წლის განმავლობაში მკრთალ ნაპერწკალის... (თავმჯდომარე კვლავ აწყვეტინებს).

**კ. აბაშიძე:** ბ. გელეიშვილი ადვილად სწვდა დიდებულ ილიას ხსოვნას, რომლის ღვაწლი და შრომა ქართველი ერის აღორძინებისათვის საზოგადოდ და წ. კ. საზოგადოებისათვის კერძოდ აურაცხელი და დაუფასებელია ადვილი სათქმელია, წ. კ. საზოგად. გამგეობას არაფერი გაუკეთებია. მობძანდით, ბატონებო, იმუშავეთ და მაშინ დავინახავთ, რა დიდს რასმე გააკეთებთ იმ მცირე შეძლებით, რომელიც ჩვენს საზოგადოებას აქვს დღეს. ხოლო ბ. გელეიშვილის გალაშქრება ისეთი ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც საკმაოდ ვაწამეთ და ამ წამებაში დანაშაული მიგვიძღვის ჩვენ ყველას, როგორც მე, ისე ბ. გელეიშვილსა და ყოველ ქართველს, ყოვლად მიუტევებელია. ილია ჭავჭავაძის ხსოვნა ისეთი ძვირფასია ჩვენთვის, რომ მისი ნაკლიც კი, თუ კი არსებობს ასეთი რამ, უნდა დავფაროთ და არ მოვიხსენიოთ. თუ მართლა, როგორც ბ. გელეიშვილი ბძანებს, თვით ილიას მეცადინეობასაც კი ვერა გაუკეთებიარა, ჩანს იმდენად დაღუპული და გახრწნილი ყოფილა ჩვენი საზოგადოება, რომ მას აღარა ეშველება რა და, მაშასადამე, თავი სრულ კოტრებად უნდა გამოვაცხადოთ, რისთვისაც მე ვერავითარ საბუთს ვერ ვხედავ.

**პ. გელეიშვილი:** ბ. კიტა აბაშიძემ ბრძანა, თითქოს მე ადვილად ვსწვდი ილია ჭავჭავაძის სახელს და მსურს მისი დამცირება. ეს ძველი ლათაიებია, ბატონებო, და არ არის საკადრისი მისი ხელახლად განმეორება, რადგან ლათაიებს დემაგოგიური მიზნით იმეორებენ და...

**კ. აბაშიძე:** (აწყვეტინებს) მე ლათაიებს კი არა, სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ და თუ ლათაიბზე მიდგა საქმე, ისეთ ლათაის მოვახსენებ მართლაც ბ. გელეიშვილის, რომელიც მას დიდად არ ესიამოვნება. თუ ვინმე ბატ. გელეიშვილს მაზოლზე ფეხი დაადგა დააწვა, კიტა აბაშიძე აქ რა შუაშია?!..

(ტაშის ცემა და ხმაურობა)

**ხმა ხართიშვილისა:** აქ ილია ცუდად არავის მოუხსენებია!

**კ. აბაშიძე:** (ხართიშვილს) მაშ, ქებაა იმის თქმა, რომ 30 წლის განმავლობაში ილიასაც არაფერი გაუკეთებიაო?

**ა. ჭუმბაძე;** ფრანგები იტყვიან: „კრიტიკა ადვილი საქმეა, ხოლო ხელოვნება კი ძნელი“. ამ ბრძნულ თქმულებას ამართლებენ აქ ის პირები, რომელთაც სურთ წ. კ. საზოგადოების დიდი ღვაწლი და ამაგი ხელის ერთი მოსმით გაქარწყლონ. 30 წლის განმავლობაში წ. კ. საზოგადოებას არაფერი გაუკეთებია, მიუხედავად იმისა, რომ მას სათავეში უდგა ილია ჭავჭავაძეო. ასე ბძანებს საზოგადოებისავე წევრი, მაგრამ არ მიკვირს, რადგან ამის თქმას გაბედავს ის, ვისაც გუშინდელი დღე არ გააჩნია და მხოლოდ უფერულ დღეს დღეობას ჩაშტერებია თვალში. ბატონებო, რად გავიწყდებათ ის საშინელი დრო, როდესაც ბედისწერამ ერთბაშად შემოაცალა ქართველს ეროვნული მძლეობის ზღუდე და მისი სხეული ლეგიონებად მოჯარებულ მტერს მიუგდო საგლეჯად და გასახრწნელად? განა წ. კ. საზოგადოებას ამ საშინელ დროს არ ჩაუყარა საფუძველი და მის დამაარსებელთა წყალობით, რომელთაც დღეს აქ ასე გულცივად იხსენიებენ, საქართველოს ყველა კუთხეს არ მოედვა მადლი მისი მოღვაწეობისა? მაშ, ვისი წყალობით გაკეთდა ყველაფერი ის, რაც ყოველი შეგნებული ქართველისათვის ცხადი და თვალსაჩინოა და რომელიც ჯერ კიდევ ოდნავ სულს გვიდგამს? თქვენი? (აწყვეტინებენ) გაიძახიან, წ. კ. საზოგადოება ასცდა თავის დანიშნულებას, კავკავისა და ბათომის სკოლები მისი არაა, მან ვერავის ასწავლა წერა-კითხვაო. მე თქვენ გეკითხებით: სადა გვაქვს ჩვენ სხვა სკოლები თუ არა წერა-კითხვ. საზოგადოებისა და ორიც კიდევ სათავად-აზნაურო! წ. კ. საზოგადოებას რომ ამ ათიოდე სკოლის დაარსების მეტი არა გაეკეთებია რა, ესეც დიდი ღვაწლი იქნებოდა ჩვენზე. დიახ, ყველა ამას განგებ ივიწყებენ წითელი ფრაზების მოტრფიალენი და ცდილობენ ადვილად სწვდენ ისეთი დიდი ადამიანის სახელს, როგორიც ილია ჭავჭავაძეა, მაგრამ ამაოდ: მათი ღრენა ვერ მისწვდება მის უმწიკვლო ხსოვნას... (ხმაურობა).

**პ. გელეიშვილი:** (თავმჯდომარეს) გთხოვთ დამიცვათ კ. აბაშიძისა და ჭუმბაძის უსაფუძვლო ბრალდებათაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები კრებიდან წავიდე!

(დიდი ხმაურობა და მოძრაობა, ხმა ირ. რამიშვილის: „ვსთხოვთ ბ. აბაშიძეს, კრებას ნუ აღელვებს“!..)

**თავმჯდომარე:** საუბედუროდ აქ მართლაც გაისმა შეუფერებელი სიტყვა: „ღრენა“, რისთვისაც შენიშვნას ვაძლევ კრების წევრს: ა. ჭუმბაძეს.

გრძელდება კამათი საკითხის შესახებ.

**შ. მესხიშვილი და გრ. დიასამიძე.** გამოსთქვამენ აზრს, რომ საჭიროა მუზეუმი ისეთ სპეციალურ დაწესებულებას გადაეცეს, რომელმაც იცის ფასი და მნიშვნელობა ისტორიული ნაშთებისა; ასეთი დაწესებულება კი საისტ.-საეთნოგრაფიო საზოგადოებააო.

**ექვ. თაყაიშვილი** დიდ ხანს ლაპარაკობს და სხვათა შორის აღნიშნავს, რომ წ. კ. საზოგდოებას ბევრი საქმე აქვს, სურვილიც მუშაობისა დიდი, მაგრამ ყველაფერს ვერ გასწვდება. მუზეუმის საქმე რომ მას ჩამოვაშოროთ, ამით არა თუ დააკლდება რამ მას, პირიქით ხელი გაეხსნება უფრო ნაყოფიერი მუშაობისთვის. და აი სწორედ ჩვენი მოვალეობაა ამ საზოგადოებასთან მოგროვილი ისტორიული განძი იმ საზოგადოებას ჩავუგდოთ ხელში, რომელიც სპეციალურად ამ მიზნითაა დარსებული.

რადგან საკითხი საკმაოდ გამოირკვა, თავჯდომარემ კამათი შესწყვიტა და კრებას გააცნო განყოფილებათა წარმომადგენლების აზრი ამ საქმის შესახებ, რომელთაც ერთხმად დაუდგენიათ, რომ მუზეუმი წ. კ. საზოგ. სრულ საკუთრებასა და გამგებობაში უნდა დარჩესო.

შემდეგ ამისა თავჯდომარემ წევრთა დასახელებით უყარა კენჭი ამ საკითხს და აღმოჩნდა, რომ გამგეობის მომხრეა 34 ხმა, 26 კი წინააღმდეგი.

კრება 12 საათზე დაიხურა. შემდეგი სხდომა 18 ივნისს, საღამოს 7 ს.

## მოლიკულ გზაზე

(თავად-აზნაურთა საქმეების გამო).

2.

ბ-ნი იმ.—ამ.—ი პოზიციას გვიწუნებს, ჩვენი მსჯელობა კაბინეტურ მსჯელობად მიაჩნია და იმ დასკვნამდე მიდის, რომ, მიუხედავად მრავალ არა სასურველ ნაბიჯისა, ოპოზიციის ჯან-საღმა ელემენტმა სძლია პირადად დაინტერესებულ ელემენტებს, მათი მოქმედება თავის ნებისყოფას დაუმორჩილა და დაამარცხა ჩვენი თავად-აზნაურობის რეაქციონური ნაწილიო. ნამდვილად კი ეს ასე არ მოხდა. ოპოზიციის ჯან-საღმა ნაწილმა კი არ დაუმორჩილა თავის ნებისყოფას ოპოზიციის უვარგისი ნაწილი, პირ-იქით, თითონ გაითქვიფა ამ ელემენტში ისე, რომ სრულიად დაჰკარგა თავისი ფიზიონომია. აი, სწორედ მაშინ გამოჩნდა, რომ ამნაირს გათქვეფას თანა სდევს ლოღიკურის აუცილებლობით ის კონფლიქტი აზროვნებასა და მოქმედების შორის, რომელზედაც წინა წერილში ვლაპარაკობდით. ბ-ნი იმ.ამ.—ი სწერს, სათავად-აზნაურო კრებაზე გაიმარჯვა თავად-აზნაურთა დემოკრატიულმა ნაწილმაო. მაგრამ, თუ კარგად ჩაუკვირდებით საქმეს, დავინახავთ, რომ ოპოზიცია სწორედ იდეიურის მხრით არის დამარცხებული, ამ მხრით განსაკუთრებით დამარცხებულნი არიან ჩვენი იდეიური თანამოაზრენი, რომელნიც ოპოზიციაში შედიოდნენ.

ბ-ნი იმ.—ამ.—ი თავის წერილს იწყებს დ. ზ. მელიქიშვილის პოლიტიკის დახასიათებით და იმ ყოვლად სამართლიან დასკვნას ადგება, რომ დ. ზ. მელიქიშვილმა თავის პიროვნებით, ასე ვსთქვათ, დაშრიტა თავად-ზნაურული ფსიხოლოგია და პოლიტიკა. „ყოველივე რაც კი შეეძლო მიეცა ქართლელთ აზნაურობის რეაქციონურ ნაწილს კარგი,—სწერს ბ-ნი იმ.—ამ.—ი,—ყოველივე ეს თავ-მოყრილი იყო თ. მელიქიშვილის პიროვნებაში. ეს კაცი იყო ერთად ერთი და უკანასკნელი ნიჭიერი გამომსახველი ჩვენი თავად-აზნაურობის ანტისაზოგადოებრივის, ანტიეროვნულის მიმართულებისა“. ბ-ნი იმ.—ამ.—ი თავადაზნაურობის ამ რეაქციონურ ნაწილს უპირისპირებს მეორე, დემოკრატიულ ნაწილს, რომელმაც გავლენა მოიპოვა მაშინ, როდესაც თავადაზნაურთა წინამძღოლად იყო თ-დი ორბელიანი.

ეს უკანასკნელი ნაწილი თავად-აზნაურობისა, ბ-ნ იმ.—ამ.—ის აზრით, დაუპირისპირდა პირველს როგორც ეროვნულის იდეალით აღჭურვილი ნაწილი. რეაქციის დროს დ. ზ. მელიქიშვილის მიმდევრებმა თავი წარმოჰყვეს და წინამძღოლად დაჰსვეს თ-დი ბაგრატიონ-დავითაშვილი. ეხლა კი კვლავ გაიმარჯვა თავად-აზნაურობის დემოკრატიულმა ნაწილმა და დაამარცხა რეაქციონური ნაწილი, მაშასადამე, დაამარცხა დ. ზ. მელიქიშვილის აჩრდილიც, დაამარცხა მისი პოლიტიკა. აი, ბ-ნ იმ.—ამ.—ის მიერ დახატული სქემა. საუბედუროდ ეს სქემა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. თავად-აზნაურთა კრებაზე ისმოდა არა გმობა დ. ზ. მელიქიშვილისა, არამედ მისი ქება. როდესაც რამდენიმე ორატორმა მოისურვა დ. ზ. მელიქიშვილის დახასიათება სწორედ იმნაირად, რანაირადაც ბ-ნი იმ.—ამ.—ი ახასიათებს, მათ პირში ბურთი ჩასჩარეს „ოპოზიციონერებმა“. ეს იყო არა დამარცხება დ. ზ. მელიქიშვილის აჩრდილისა, ეს იყო მკვდრეთით აღდგომა იმ ადამიანისა, რომელსაც შთამამავლობა ძრწოლით მოიხსენიებს, რამდენიც არ უნდა შეასხან ქება-ხოტბა მათმა მეგობრებმა. ჩვენს თანამოაზრეებს ადგილი არ უნდა ჰქონოდათ იმ ჯგუფში, რომელმაც ასეთი საქმე ჩაიდინა. ბ-ნი იმ.—ამ.—იცა ჰგრძნობს ამ უხერხულებობას და უცნაურს ამბავს იმითი ჰხსნის, რომ „ოპოზიციას“ თავის ძალ-ღონის იმედი არა ჰქონდაო. ვერ გაგვიგია, რა ძალა იყო საჭირო ამისთვის? ვინ დაუშლიდა, ან რა დაუშლიდა ოპოზიციის თვითოეულს წევრს საჯაროდ ისევე შეეფასებინა დ. ზ. მელიქიშვილი, როგორც ეს რამდენიმე ორატორმა ჰქნა, თუ ისინი სათანადო **რწმენით** იყვნენ გატაცებულნი. მაგრამ ოპოზიციონერებს სწორედ ეს რწმენა აკლდათ. ოპოზიცია, მიუხედავად ამისა, რომ ზოგიერთს რამეში დეპუტატთა საკრებულოს წინანდელ მესვეურთაგან განსხვავდება, არსებითად, თავისი პოლიტიკური რწმენითა და ფსიხოლოგიით ისეთივე თავად-აზნაურული ჯგუფია. როგორც ასეთი, იგი ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება თავად-აზნაურულ ფსიხოლოგიის იმ ელემენტებისაგან, რომელნიც დ. ზ. მელიქიშვილის მოღვაწეობას ახასიათებენ. ეს ისეთი საკითხი იყო, სადაც ოპოზიციის იდეიური სახე უნდა გამოჩენილიყო, იგი კიდეც გამოჩნდა, მაგრამ არა სასარგებლოდ იმ მიმართულებისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებოდით. რა უნდათ ჩვენს თანამოაზრეებს ამისთანა ჯგუფში?

მეორე საკითხი, სადაც უფრო ძალიან მოიტეხა კისერი ოპოზიციამ, იყო პროგიმნაზიების საკითხი, როგორც არჩევნების შედეგმა დაგვიმტკიცა, ოპოზიციას უმრავლესობა ჰყოლია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ვერც თავის კანდიდატს გაიყვანდა. მიუხედავად ამისა, პროგიმნაზიების სუბსიდიების წინააღმდეგ მხოლოდ ათი თუ თერთმეტი კაცი წამოდგა. თუ ესეც ოპოზიციის „პრინციპიალობის“ დამამტკიცებელია, მაშინ ყველაფერს შეგვიძლიან „პრინციპი“ ვუწოდოთ. ამ საკითხში ისევე, როგორც პირველ საკითხში, ნათლად გამოირკვა მხოლოდ ის, რომ ყოველი პრინციპიალური ხასიათის საკითხის გადაწყვეტის დროს ოპოზიცია სამარცხვინო უმცირესობას შეადგენდა. თუ იმის შემდეგაც ვინმე იტყოდა, გაიმარჯვა იდეურმა ოპოზიციამაო, არ გვეგონა. განსაკუთრებით არ გვეგონა, თუ ამას იტყოდა ჩვენი თანამოაზრე.

მიუხედავად იმისა, რომ პრინციპიალურ საკითხებში ოპოზიცია დამარცხებული გამოდიოდა, არჩევნებში უმრავლესობა შეკრიფა. ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ოპოზიცია ძლიერი იყო არა თავისი იდეიური შინაარსით, არამედ პირადს ნიადაგზე აღმოცენებულ სიძულვილით. პირადი ინტერესი ჩვენ ისე არ გვესმის, თითქოს კერძოდ რომელიმე ოპოზიციონერთაგანი დაინტერესებული იყოს პირადის სარგებლობით. იქნება ასეთებიც იყვნენ, მაგრამ, როდესაც მოვლენას საზოგადოებრივ თვალსაზრისით ვაფასებთ, ასეთი პირნი მხედველობაში არ უნდა მივიღოთ. ჩვენის აზრით, თავად-აზრთა კრებებზე იბრძოდა არა რეაქციონური და პროგრესიული ნაწილი, როგორც ბ-ნს იმ.—ამ—ს ჰგონია, არამედ ორი **არსებითად** ერთ-გვარი ჯგუფი. ერთს მათგანს ხელში ეპყრა ბატონობა, მეორე იბრძოდა ბატონობისთვის. განა ვისმესთვის საიდუმლოებას შეადგენს ის გარემოება, რომ არსებობს ნაწილი ქართველ არისტოკრატიისა, რომელიც დღემდე საქმეს დაშორებული იყო და დიდი სურვილი კი ჰქონდა დეპუტატთა საკრებულოში გაძლიერებისა? გარდა ამისა, განა არ არსებობს ისეთი ნაწილი ინტელიგენციისა, რომელიც თავად-აზნაურობის სისხლსა და ხორცს შეადგენს, მაგრამ დეპუტატთა საკრებულოდან კი დაშორებულია? თავად-აზნაურთა კრებებზე ბრძოლა სწარმოებდა არა პრინციპებსა და იდეების გარშემო, არამედ უფლების, გავლენის, ძალის ხელში ჩასაგდებად: ამიტომაც მოხდა, რომ პრინციპიალურ საკითხებს ოპოზიცია დუმილით უპასუხებდა და არჩევნების დროს კი უმრავლესობა შეჰყურებდა. ამისთანა ოპოზიციაში ჩვენს თანამოაზრეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ასეთი სურათი გადაიშლება ჩვვენს თვალ-წინ, თუ თავად-აზნაურთა კრებებს და მის შედეგს საზოგადო, ჩვენის თვალსაზრისით შევაფასებთ. მაგრამ შეიძლება შედარებითი შეფასებაც. შეიძლება შორიდან უცქერდე ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენას, შეიძლება შენ თითონ მონაწილე არ იყო იმ ბრძოლისა, რომელიც თავად-აზნაურთა კრებებზე გაიმართა, მაგრამ მაინც შეაფასო იგი, როგორც საზოგადოების წევრმა. თუ რანაირი სურათი დაგვეხატება ამნაირს შეფასების შემდეგ, ამაზე მერე გვექნება საუბარი.

**არ. ჯ—შვილი.**

## ცრემლის სიცილი

— .... ჰო და მითხარ: როცა ვსტირი და ცას სწვდება ხმა ქვითინის,
ამ დროს ცრემლი, მარტო ცრემლი, რად იცინის?.. რად იცინის?..

*

— ჩემო ბავშვო! ეგ სიცილი შენს ცრემლს მიტომ დასჩვევია,
რომ მაგ ცრემლში—მგოსნის ცრემლში—ქალის ცრემლიც ურევია!

**ი. გრიშაშვილი.**

## გორის საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა

### წლიური კრება.

(შემდეგი *)

**ე. ხუციშვილი.** მე ვლაპარაკობ არა როგორც აქ მოსამსახურე, არამედ როგორც საზოგადოების წევრი. ბ. მთვარელიძემ სრული უვიცობა გამოიჩინა, როცა გორის ხაზინა ჩვენს ბანკს შეადარა. რა მოსატანია ხაზინა ბანკთან. ხაზინა სახელმწიფოს გულიდანაა აღებული, იქ მოსამსახურეთა ბედ-იღბალი პეტერბურგში იჭედება, ბანკი კი ჩვენ გვეკუთვნის, მისი ბედ-იღბალი ჩვენზეა დამოკიდებული. აქ ამბობენ თუ ხორცი მოსამსახურეთათვის გაძვირდა, ჩვენთვისაც გაძვირდაო. ათ თუმანზე სულ რაღაც 2 მან. 65 კაპ. გერგებათ. ყველაზე დიდ კრედიტის პატრონს ჰხვდება წილად სულ ერთ თუმნამდე. ეს თუმანი რომ დაგირიგოთ, განა ხორცითა და პურით გაძღებით?..

**ა. მთვარელიძე.** მოვახსენებ ბ. ხუციშვილს რომ თვითონ გამოიჩინა უვიცობა. ხაზინაშიც ისეთივე „სჩოტოვოდსტვოა“ როგორც აქ, ბუღჰალტერი აქაც არის, იქაც. აქაურ ბანკისთვის გორიჯვრის მთა ხომ არ შემიდარებია, რად ამბობთ მაგას... (საერთო სიცილი.)

**დ. მაჭავარიანი.** კეთილის დაიწყება ეს საზოგადო სენია. განა დიდი ხანია მას აქეთ, რაც გორში ბანკი გაიღო და ჩვენ 500 თუმანი ვერ გვეშოვნა, რომ ეს ბანკი არ დახურულიყო. ოთხი წლის განმავლობაში ბანკის წარმოება სამ მილიონ მანეთამდე ავიდა, საქმეები კარგად მიგვდის. მსახურთათვის კი ჯამაგირების მომატება არ გსურთ. ათი თუმანი ბუღჰალტერისთვის დიდი ჯამაგირი არ არის. შრომა დიდი აქვს. მე თვითონ მინახავს გარიჟრაჟზე მოსული აქ და მუშაობას შესდგომია. არც თუ ის არის დასანანი, რომ დირექტორებს მოვუმატოთ შრომის ჯილდო. პირველი დირექტორი ბანკს თანვე დაჰყვა და დღემდე მის ზრუნვაშია. 25 მან. მაგიერ ათი თუმანიც რომ მოგვემატებინა, მაინც ვერ დავაჯილდოვებდით სათანადოდ. დიდი შრომა აწევს მეორე დირექტორსაც, რომელიც ხაზინადრის (კასირის) თანამდებობას ასრულებს. გითხარით 500 თუმნით დავიწყეთ-მეთქი საქმე, ეხლა კი ჰხედავთ როგორ გაფართოვდა იგი (ტაში) მივიღოთ ეს ხარჯთ-აღრიცხვა და მერწმუნეთ სამერმისოდ უფრო კარგა წაგვივა საქმე. ვთქვათ რომელიმე თქვენგანმა დუქანი გახსნა ასი თუმნით. თვითონ თქვენ გამოცდილობით იცით, რომ ეს ასი თუმანი იმდენ სარგებელს არ მოუტანს პირველ წლიწადს, რამდენსაც შემდეგში...

**გ. ბერძნიშვილი.** ბ. მაჭავარიანი ქალაქის გამგეობაში მსახურობს, ბრძანოს თვითონ ცხრა თუმანზე მეტს იღებს? („ეგ კერძო საქმეა“ ისმის აქეთ-იქიდან, აჩუმებენ).

**ი. ლომინაძე.** წინადადებას ვიძლევი მოვუმატოთ ჯამაგირები, რადგან ეგენი რომ წავიდნენ, მაგ ჯამაგირზე მაგაიზე უკეთესები არ მოვლენ.

(კენჭს უყრიან საკითხს. ხმა: „ზოგი ორ-ორ ხელს იშვერს“. საერთო სიცილი, ხმაურობა. „ოპოზიცია“ ღელავს. ისმის ყვირილი „წავიდეთ, წავიდეთ“).

**ვ. როსტევანოვი.** (ყვირის) აქ ერთმანეთის ეხათრებათ, მოკრძალება აქვთ. უყარეთ კენჭი ფარულად. (მაგრამ საკითხი უკვე დადასტურებული იყო დიდი უმრავლესობით. რამდენიმე კაცი დემონსტრატიულად გამორბის დარბაზიდან. ისმის ყვირილი „ძირს“. დარბაზში საშინელი ხმაურობაა. თავმჯდომარეს არ ძალუძს წესიერების დაცვა).

**თავმჯდომ.** უმრავლესობამ დაადასტურა 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მოსამსახურეთ ჯამაგირებიც მოუმატა. განსახილველია ახლა 1911 წლის მოგების განაწილება.

**ე. ხუციშვილი.** 1911 წელს წმინდა მოგება დაგვრჩა 1000 მან. აქედან სათადარიგო თანხას ემატება 10%, ხაზინას დამატებ. გადასახადი 238 მან. 59 კაპ. საზოგადოების განკარგულებაში რჩება 661 მ. 41 კ. ყოველ ათ თუმანზე თვითვეულ წევრს ერგება 2 მ. 65 კ. რას იტყვით, გადაიდოს თუ არა ეს ფული იმ ფონდის გასაძლიერებლად, რომელიც გადადებულია ბანკისთვის საკუთარ შენობის ასაგებად.

**სან-განი-ძე.**

(დასასრული იქნება)



## სხვა და სხვა ამბავი

**პურიშკევიჩის დაჯილდოვების ამბავი.** „რუსკოე სლოვოში“ დაბეჭდილია იმის ისტორია, თუ როგორ მიუღია პურიშკევიჩს უმაღლესად სხვა და სხვა ჯილდო. თურმე ნუ იტყვით, სათათბიროს წევრს ვ. მ. პურიშკევიჩს უთხოვნია სადაც ჯერ არს, სახელმწიფოს ძალიან ბევრი სარგებლობა მოუტანე, დიდი ამაგი დამიდვია, კამერგერობა მიბოძეთო. ამ თხოვნის დაკმაყოფილებისათვის შუამდგომლობდნენ და საქმიანობდნენ პურიშკევიჩის ნაცნობი ბობოლები ბ. და თ-დი ო.

მიუხედავად ამისთანა დახმარებისა, საქმე წინ, მაინც და მაინც, ჩქარა არ წასულა და აყოვნებდნენ. ბ-ნი პურიშკევიჩი ძალიან მოუთმენლად ელოდა და სული მისდიოდა თურმე კამერგერობის მოლოდინში.

მისდა დასახმარებლად მემარჯვენეთა გამოჩენილმა დეპუტატმა თ-დმა ვ. სთხოვა შველა ვ. ნ. კოკოვცევს. ვ. ნ. კოკოვცევს თხოვნისათვის ძალიან ნაკლები ყურადღება მიუქცევია და ფორმის გულისათვის, სახსლის მინისტრს დეპეშით შეჰკითხებია. ეგ საქმე როგორ არისო. ამ დეპეშას დიდი საქმე დაუტრიალებია. იგი მინისტრ-პრეზიდენტის შუამდგომლობად მიუჩნევიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა ვ. პურიშკევიჩისათვის მხოლოდ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა მიუციათ.

ამის გამო ხმა დაყარდა: პურიშკევიჩმა კოკოვცევის წყალობით მიიღო ჯილდოო. ვ. კოკოვცევი ძალიან უარობდა და ბოლოს იძულებული იყო მოსკოვში, უმაღლეს პირებთან საჯაროდ განეცხადებია: პურიშკევიჩის დაჯილდოვების საქმესთან კავშირი არა მქონია რაო.

## მღ. ივანე გვარამაძე „ვინმე მესხი“

(მოკლე ცხოვრება—1831—1912 წ.)

მღვდელი ივანე გვარამაძე „ვინმე მესხი“ ერთად ერთი თანამედროვე პირი იყო მთელს სამესხეთოში, რომელიც როგორც მწერლობით, ეგრეთვე მოძღვრობით ირჩეოდა ყველასაგან.

მთელი სიცოცხლე შესწირა ქართველ ერს თავისი დაუღალავი კალმითა. 46 წლის განმავლობაში სწერდა საისტორიო და საარქეოლოგიო წერილებს, სასულიერო და ზნეობრივს წიგნებსა, პოემებსა და მოზარდთათვის სახელმძღვანელოებსა; ჰკრებდა ხალხის სიტყვიერებასა, სთარგმნიდა სასულიერო წიგნებსა: დაიარებოდა მიუვალ ტყე-ღრეებში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში და ათვალიერებდა ძველის ძველ ეკლესია-ციხე-კოშკებსა, საიდანაც, როგორც წარწერებს, ისე ჩუქურთმიან კედლებიდან სურათებს იღებდა თავის სამგზავრო, ისტორია-არქეოლოგიურს უბის რვეულში ხატავდა საისტორო მასალისათვის.

როგორც მოძღვარიც სამაგალითო იყო. კათოლიკე მოძღვართა შორის ირჩეოდა სწავლა-დარიგებით, მჭერმეტყველურ ქადაგებით, ღვთის მსახურებით და მღვდელ მოქმედების წესიერ ასრულებით, ერთი სიტყვით დიდ მაგალითს უჩვენებდა ყველა სამღვდელოებას თუ როგორ ემსახურნათ თავიანთი სამწყსოსთვის. მამა ივანემ პირველად განაცხადა ქართველ კათოლიკეთა სამწყსოში, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი სამშობლო საქართველოა, ჩვენი დედა-ენა ქართული ენააო, როდესაც არც ერთი კათოლიკე ქართველი არა სცნობდა თავს ქართველადა და სომხად ითვლებოდა. სომხურ ტიბოკონს ექვემდებარეობოდენ ეკლესიებში და სომხურს გაუგონარს ენით ლოცულობდნენ.

მამა ივანემ შეიტანა კათოლიკეთა ეკლესიებში (სამესხეთოში) ქართული ლოცვა-გალობანი, სახარება და ქადაგებანი.

მამა ივანესავე გავლენით, ამ ორი წლის წინედ, მთელი ახალციხე-ჯავახეთის ქართველმა კათოლიკობამ ითხოვა სომხის ტიბოკონიდან ჩამოშორება და ლათინის წესზე გადასვლა, რათა სრულებით აღდგინდეს კათოლიკე ქართველთა ეკლესიაში დედა ენაზე წირვა ლოცვა. ამ თხოვნას ათიათასმა სულმა მოაწერა ხელი და მიართვეს ნამესტნიკსა. ნამესტნიკმაც ამის ნება დართო, ხოლო ახლა რომის პაპზეა მიმდგარი საქმე, რომლის ნებართვას დღითი დღე ელოდებოდა მამა ივანე სული მის თქმაში იყო: ღმერთო, მაცოცხლე იმდენი, რომ მოვესწრებოდე ლათინის წესზე გადასვლას და შემდეგ, როგორც შენი ნება იყოსო.

მამა ივანემ მწერლობა დაიწყო 1866 წელს. იგი სწერდა ძველს ჟურნალ გაზეთებში „ვინმე მესხი“-ს ფსევდონიმით, „დროებაში“ „ივერიაში“ „კრებულში“, „კვალში“, „ცისკარში“, „მწყემსში“. „ცნობის ფურცელში“, „მოგზაურში“, აკაკის „კრებულში“ და სომხურ გაზეთებში კრიტიკის პასუხებსა „არსაგანკში“, „მშაკში“ და სხვა.

მისი ნაწერები წიგნებადაა გამოცემული. აქვს ოც-ტომამდე დასაბეჭდად მომზადებული დიდი რვეულებიც. დღემდე რაც დაუბეჭდავს ვინმე მესხს, ათი იმდენი კიდევ სხვა დაუბეჭდავი ხელნაწერები დარჩა.

მახსოვს 1904 წელს, ბ-ნმა აკაკი წერეთელმა სთხოვა მამა ივანეს, ნება მიეცა მისი იუბილე გადაეხადა ქართველ ერს თავისი მოღვაწეობის პატივსაცემლად, მაგრამ მამა ივანემ უარი უთხრა იუბილეს გადახდაზე, ხალხს არ შევაწუხებო. შემდეგ გულნატკენმა პოეტმა სთხოვა: შენი ცხოვრება მაინც აჰწერე დაწვრილებით და დაგვიტოვეო. ამაზე სიტყვა მისცა და მართლაც დასწერა დაწვრილებით თავისი სიცოცხლის ვრცელი ისტორია.

მღვდ. ივ. გვარამაძე—ვინმე მესხი დაიბადა ქ. ახალციხეში 1831 წ. 14 ოქტომბერს. იგი პატარობიდანვე ღარიბ მშობლებთან იზრდებოდა ს. ვალეს. მამა პავლე გვარამაძე—მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკოვი საწვრიმანოს ატარებდა იმერეთში და იმით არჩენდა ოჯახობას. დედა-მარიამს კარგად სცოდნია ქართული წერა-კითხვა და ასწავლიდა თურმე ვალის პატარა ბავშვებს თავის სახლში წერა-კითხვასა. მარიამი დიდი კეთილი ადამიანი ყოფილა. პატარა ივანე, რომელსაც კონას უძახდნენ დედასთან შეუსწავლია წერა-კითხვა და მის გავლენის ქვეშე იზდებოდა. 7—8 წლის კონა ბევლჯერ წაჰყვებოდა თურმე მამას იმერეთში. კონას წერა-კითხვასთან ერთად ხატვაც ძალიან ჰყვარებია და კარგადაც შეუსწავლია. 12 წლისა რო ყოფილა და მამას იმერეთში გაჰყოლია. კონასთვის მარელისელებს თავიანთი ეკკლესია დაუხატვინებიათ, რაიც ძალიან მოსწონებიათ.

17 წლის რო გამხდარა ახალციხეში არხიმანდრიტ შაჰყულიანთან მიუბარებიათ მღვდლობისათვის მოსამზადებლად. შემდეგ ქუთაისში მღ. პეტრე ხარისჭირაშვილთან მიუბარებიათ; ხარისჭირაშვილი სტამბოლში წასულა და კონა კი ისევ ახალციხეში დაბრუნებულა. შემდეგ სტამბოლში წასულა ისევ მღ. ხარისჭირაშვილთან, მაგრამ მღვდლად კურთხევა არ მოჰხერხებია. შესულა იქ ფოტოგრაფიაში სასწავლებლად, მაგრამ გული ვერ დაუდვია და ისევ სტამბოლში დაბრუნებულა. ბოლოს არარატიანის სასულიერო სასწავლებელში შესულა გუმრში, სადაც ოთხი კლასი ჩინებულად გაუთავებია. ამ დროს დედ-მამა დახოცილი ჰყოლია და მღვდლად ვერ კურთხებულა უპატრონობისა და უსახსრობის გამო.

ცოლი უთხოვნია 1865 წ. მოყვრებს ხელი მოუმართნიათ კურთხევაზე. მღვდლად ეკურთხა 1868 წ. სართოვში 11 დეკემბერს.

ახლად ნაკურთხი ხიზაბავრაში გაუმწესებიათ მღვდლად. ბოლოს წმ. იოანე ნათლი-მცემლის ეკკლესიაში გადმოუყვანიათ, 1884 წ., სადაც 23 წელიწადი იმსახურა.

გარდაიცვალა 81 წელში ჩამდგარი მოხუცი 35 წლის განმავლობაში ქარებისაგან დატანჯულ-დახუთული. 1912 წ. 24 მაისს, დაკრძალეს წმ. იოანე ნათლი-მცემლის ეკკლესიისავე ეზოში, ქ. ახალციხეს. **მ.**

(დასასრული იქნება)

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

16 ივნისი.

**ავსტრია-უნგრეთის ამბავი**

**ვენა.** ზემო პალატამ ერთხმად მიიღო სამხედრო რეფორმის კანონ პროექტი. სამსავე წაკითხვის შემდეგ სამ პარტიათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რეფორმას მიზნად დაუსახავს მხოლოდ განვითარება და გაძლიერება ჯარისა, როგორც სახელმწიფოს ხელშეუხებლობის პრინციპის დამცველისაო.

**იტალიის ვითარება.**

**რომი.** სენატი მინისტრ-პრეზიდენტმა ჯიოლიტიმ საარჩევნო რეფორმის პროექტი შეიტანა და მის დასაცავად სიტყვა წარმოსთქვა. იგი მოითხოვდა, დეპუტატებს ჯამაგირი უნდა დაუნიშნოთო. ჯიოლიტიმ სთქვა, მუშებს საშუალება უნდა ჰქონდეთ თავისსავე წრეში ამოირჩიონ დეპუტატებიო. პარლამენტში პირდაპირ უნდა მოდიოდნენ ხალხის წარმომადგენელნი და არა მისი ვექილებიო (ტაშის ცემა). ქალაებს ამ ჟამად ვერ მივანიჭებთ საარჩევნო უფლებას, რადგან ჯერ საჭიროა ქალის საზოგადო მდგომარეობა შეიცვალოსო.

სენატმა 135 ხმით 19 წინააღმდეგ მიიღო ფორმულა, რითაც თანაგრძნობა გამოაცხადა იმ პრინციპებისა, პროექტში რომ არის გატარებული.

სენატში მინისტრ-პრეზიდენტმა ჯიოლიტიმ დეპეშა მიიღო: ოსმალებთან დიდი ბრძოლის შემდეგ სიდის მთებზე იტალიის დროშა ავაფრიალეთო.

„სტეფანის სააგენტო“ იუწყება, 13 ივნისის ბრძოლის დროს იტალიელებმა მოახერხეს და სიდისეიდიდან ოსმალონი გამორეკესო. ოსმალებისათვის მოუკლავთ 500 კაცამდე, იტალიელთავის—18 და 114 დაუჭრიათ.

მასოვოდან იუწყებიან, ოსმალებსა და საიდ-იდრისისის მომხრეებს ბრძოლა ჰქონდათ ლოხეისთანაო. იტალიელებს გაუმარჯვნიათ და 100 ოსმალი ტყვედ ჩავარდნიათ ხელში.

**სპარსეთის ამბები.**

**თავრიზი.** შუჯა-უდ-დოულეს ბრძანებით მიანდობში დაუპატიმრებიათ მოჯელალ-ულ-სალტანე.

სერაბიდან იუწყებიან, სეპეხდარმა რაშიდ-ულ-მულქსა სთხოვა: დროს ნუღარ ჰკარგავ, ყოველი ქონის-ძიება მიიღე და ისე დაამარცხე შაჰსევნები, რუსთა რაზმები არ გარიო საქმეშიო.

**ურმია.** სპარსელი მემამულეები აქამდე სცდილობდნენ არ ოსმალთა მიეღოთ კანონები და მმართველობა ოსმალთა მიერ დაჭერილ ადგილებში, მაგრამ რაკი დარწმუნებულან სპარსეთის მთავრობა ველარას გვიშველისო, დაუწყიათ ოსმალთა კანონების მიხედვით აკრეფა ხარჯ-გადასახადისა.

**ჩინეთის მდგომარეობა.**

**პეკინი.** პრეზიდენტის ბრძანებით, თანშაოი გაანთავისუფლეს ავადმყოფობის გამო მინისტრ-პრეზიდენტობიდან და რესპუბლიკის პრეზიდენტის უფროს მოთათბირედ დანიშნეს. გზათა მინისტრი შიჩჟაოციც ავადმყოფობის გამო დაითხოვეს და მისი მოვალეობა საზღვაო მინისტრს დააკისრეს.

**ურგა.** ჩინელთა საწინააღმდეგოდ კობდოში მონგოლთა რაზმი გაჰგზავნეს. რაზმს გზაზე სხვებიც მიემატებიან.

**ალბანელთა საქმე.**

**სტამბოლი.** ოსმალეთი ძალიან დაუფიქრებია ალბანეთის საქმესა. ყოველდღე ჯარიდან აუარებელი აფიცერი და ჯარის კაცი გარბის, ალბანელებს ემხრობა. მოძრაობას მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათი აქვს. მთავრობას გადაუწყვეტია, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლოს მეამბოხეებსა. შეიძლება ამ ამბავმა ომის საქმეზედაც იმოქმედოს.

**მონასტერი.** ოსმალეთის ჯარიდან კიდევ გარბიან. დიბრიდან მთებში გაქცეულა 120 ჯარისკაცი და ოთხი აფიცერი. ამბობენ, ჯარი თხოვნას ამზადებს: პარლამენტი დაითხოვეთ, კაბინეთი გადააყენეთ და ყოველ საქმეს მოაშორეთ „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტიო.

**სლავიანთა ჟურნალისტების ყრილობა.**

**პრაგა.** გაიხსნა სლავიანთა ჟურნალისტების მეთერთმეტე ყრილობა. შეგროვილან ყველა სლავიანთა წარმომადგენელნი, გარდა პოლონელებისა. პოლონელებს ოფიციალურად მხოლოდ „ძენნიკ პოზნანსკის“ რედაქტორი კაუფკა გაუგზავნიათ. არა ყოფილან რუსეთის წარმომადგენელნიც. რადგან სლავიანთა ჟურნალისტების კავშირი ჯერ არ დაუარსებიათ, ყრილობამ მიიღო დადგენილება, რითაც პროტესტს აცხადებს ხორვატიის განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაყენებისა და მისი პრესის დევნის წინააღმდეგ.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# განცხადებანი


**გაფრთხილებით უფრო ადვილია სნეულების აცილება, ვიდრე მისი მორჩენა.** ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინცა სცხოვრობს გადამდებ სნეულებიან ადგილას: (ხოლერა, სახადი, ყვავილი და სხვა). გადამდებ სენისა და ეპიდემიურ ავადმყოფობათა ასაცილებლად, როგორც ნაცადია, საუკეთესო საშუალება სიფაქიზეა.

აუცილებლად საჭიროა, ყოველთვის პურის ჭამის წინ არამც თუ დაიბანოთ ხელები, არამედ დეზინფექციაც გაიკეთოთ. ამისთვის კი განსაკუთრებით კარგია გადამდებ სენის მოდების წინააღმდეგ საგანგებოდ დამზადებული **„№ 4711 სამკურნალო საპონი“** № 4711 Медицинскія мыла“.

როგორ უნდა იხმაროთ, ეს აწერილია (რუსულად და გერმანულად) საპნის გასახვევ ქაღალდზე.

განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონი“ (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია), „№ 4711 მდოგვის საპონი“ და № 4711 სულემას საპონი“.

„№ 4711 სამკურნალო საპონი“ იშოვება ყველა აფთიაქებსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში, თითო ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.

სყიდვის დროს, ყურადღება მიაქციეთ, ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711“ მხოლოდ ეს იქნება თავდები, რომ საპონი კარგის ღირსებისაა. Метцль 184053. (4.1218.2)


# მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. ხ ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარაკო** მატ. № 77 a**, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათუმიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ... ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს, **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.


**შემთხვევით**

**იაფად იყიდება**

ფურგუნის წინა და უკანა ნაწილები (фургонные передки и задки) ღერძიანად და რკინის სალტა-შემორტყმული 29 თვალი. მიჰმართეთ რიყეზე, დესიმონოვის ქუჩა, № 23, ეზოში. (2.518.1)

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა,**

**დილით:**

**„606“ —11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ტგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით,

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.** (წ. 1074.78)

**იყიდება ლიმონადის ქარხანა**

**„შვეიცარია“**

**ნაძალადევში**

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ.,** **№ 3, კავთიაშვილს.** (25—492—16)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, **№ 3, ს. გაბაშვილისა.** (7)

**სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსას სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დეთა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606“-ით.** (0—1253—71)

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,**

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფელდფსის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. კირტუმოვი.** (თ. 1037.67)

**სპეციალისტი ქართველი სტუდენტები**

ამზადებენ ეგზამენებისა და განმეორებით გამოცდისათვის საშუალო სასწავლებელთა ყველა საგანში. **მისამართი:** 1) ორბელიანის ქ., № 16, **სტ. ბარნაბიშვილს**, დილ. 10—12 ს., საღ. 5—7 ს. 2) ჩერქეზიშ ქ., № 89, სტ. გერსამია, დილ. 10—12 ს., საღ. 4—7 ს (4.508.4)

**ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი**

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ფასი 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іес. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100.231.11)

**გამოცდილ** **მასწავლებელ ქალ-ვაჟთა ჯგუფი,** რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს საპედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს** ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისათვის;** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, სააგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად,** აფთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად, **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

**მიმართეთ:** 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის, 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი), № 9, კოლიუჯის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—2 5—)

**ყოველ-დღე მოგვდის:**

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—84)

**თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

შეუშხუნა **„ჩვენი გემო“** კვასი

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან; კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაჰკარგა და ეს არ უნდა მოგვსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო“** და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო“** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე და ამხანაგობა.**

მისამართი: სუდებნი ქუჩა სახლი № 6. (20.1096.13)

ხელოვნურად შეზავებული

**სამკურნალო და ხილეულოვის წყალი**

**მიტროფანე ლაღიძე და ამხ<u>ა</u>.**

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით,

**გემო და სუნი საამური აქვს,**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 5** **ტელეფონი № 411, ქუთაისში — ... ქუჩა № 6.** (25.1160.27)

**იმერული შამპანიური ღვინოები,**

**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში,

**„კოლხიდა“ და „თამარა“**

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და

2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37. 166.20)


**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 28 ივნისს შუადღის 12 საათზე დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

მეშვიდე საპოლიციო უბანში, კახეთის მოედანთან მდებარე ... ეზოში მყოფ **საქალაქო სასწორის** (ყანთრის)

**იჯარით გასაცემად.**

პირობების გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიის მეოთხე განყოფილებაში დილის 9—2 საათამდე. (3.1328.2)


**სილამაზესა და სინორჩეს აძლევს ყოველ ქალის სახეს!**

**კრემი კაზიმი მეტამორფოზა**

**ძირიანად სპობს ფერი-მჭამელას, ჭორფლსა, მზის ნამწვს, ძიძიბებს, ნაოჭებსა და სხვა ნაკლს სახისას.**




Метцль. 36770. (3.1305.3)

საბანკო სახლი **„ლ. ვ. ლანდაუ“ და ამხ.,**

**კავკასიის სააგენტო,**

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 65, ტელეფ. 11—77.

**1 შინაგან სესხის მომგებიანი ბილების დაზღვევა გაბათილებისაგან, რომელიც უნდა 1 ივლისს მოხდეს.** **12 მან. 25 კ.** (5.1324.2)

**სნეულნო! უფრთხილდით სიყალბეს!**

რადგანაც **„სპერმინის“** იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

**ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა** (გულისგ **ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე** და სხვა), **ძარღვების დადუნებისა, ალკოგოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა და სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ **„სპერმინ-პელა“** აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

**ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:**

**სპერმინ-პელა**

და არ მისდიოთ მალამოებსა და სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა ულირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.

ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКІЙ ИНСТИТУТЪ

ПРОФЕССОРЪ Д-РЪ ПЕЛЬ и С-ЬЯ

ПОСТАВЩИКИ ДВОРА

ЕГО ИМПЕРАТОРСК. ВЕЛИЧЕСТВА

С.ПЕТЕРБУРГЪ

В.О. 7 ЛИНІЯ 18.




Метцль. № 68398. (12.1208.8)